დანართი ბ: სკოპინგის დასკვნის მოთხოვნებთან შესაბამისობის ცხრილი

#	სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები	შესაბამისობის აღწერა სგშ-ის დოკუმენტში
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები		
სგშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:		
1	**სგშ-ის ანგარიში** უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას:	
ა)	ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის შინაარსის, ამოცანებისა და სხვა სტრატეგიულ დოკუმენტთან კავშირის შესახებ;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-2 თავში და დანართში ზ).
ბ)	იმ არეალში, რომელზედაც სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის არსებული მდგომარეობის ზოგად შეფასებას;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-3 თავში.
გ)	გარემოსდაცვითი და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მთავარი ასპექტების ზოგად ანალიზს იმ ტერიტორიისთვის, რომელიც შესაძლოა მნიშვნელოვან ზემოქმედებას დაექვემდებაროს;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-3 თავში.
დ)	ზოგად საპროგნოზო ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).
ე)	ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით შესაძლო ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების შესახებ – ამ კოდექსით განსაზღვრული საფუძვლების არსებობის შემთხვევაში;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.8.
ვ)	სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილების, შემცირების ან შერბილების ღონისძიებების მოკლე აღწერას;	განხილულია მე-4 თავში და დანართში გ).

ზ)	განხილული ალტერნატივების დასაბუთებასთან დაკავშირებულ მოსაზრებებს;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-5 თავში.
თ)	სგშ-ის ანგარიშის არატექნიკურ რეზიუმეს.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის დანართში ა).
2	სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).
3	სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს სკოპინგის განცხადებით გათვალისწინებული შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისთვის საჭირო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).
4	სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).
5	სგშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ადგილის და აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების (არსებული, მიმდინარე და დაგეგმილი ობიექტები) განხორციელებისათვის შერჩეული ტერიტორიების shp ფაილები.	წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის დანართში ი).
6	სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების თაობაზე ინფორმაცია - მიმდინარე, დასრულებული, დაგეგმილი.	წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის დანართში ე).
7	სგშ-ის ანგარიშში ცალკე თავი უნდა დაეთმოს ალტერნატივების მიმოხილვას, მათ ანალიზსა და შეფასებას; გარდა არაქმედების ალტერნატივისა, საკვანძო საკითხებისთვის განხილულ იქნას რეალისტური ალტერნატივები, მათი შერჩევის მიზეზები იქნას დასაბუთებული. იდენტიფიცირებული და შედარებულ იქნას გარემოზე თითოეული ალტერნატივის მოსალოდნელი	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-5 თავში და დანართში დ).

	ზემოქმედებები (დადებითი და უარყოფითი). წარმოდგენილ იქნას ალტერნატივების შერჩევის ან უარყოფის მიზეზები. განხილულ იქნეს ტექნოლოგიური ალტერნატივები (მათ შორის არსებული ენერგეტიკული ობიექტების რეაბილიტაცია, ენერგიის შემნახველი ბატარეები ა.შ.).	
8	სგშ-ის ანგარიშში მოსალოდნელი მნიშვნელოვანი ზემოქმედებების შეფასებაში აღწერილ იქნას სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების ზემოქმედება გარემოზე და შედარებული სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელობის შემთხვევაში მათ შესაძლო დგომარეობასთან. განხილულ იქნას როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ზემოქმედებები და მიეთითოს მათი ხანგრძლივობა (მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი). იდენტიფიცირებულ იქნას მოსალოდნელი მეორადი, კუმულაციური და სინერგიული ზემოქმედებები, (სადაც შესაძლებელია), ასევე განხილულ იქნეს ურთიერთკავშირი ზემოქმედებებს შორის.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).
9	სგშ-ის ანგარიშში ფონურ კვლევაში აღწერილი უნდა იქნას გარემოსთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების არსებული მდგომარეობა. აღწერილ იქნას სტრატეგიული დოკუმენტის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოსთან დაკავშირებული ასპექტების მოსალოდნელი განვითარება. აღწერილ იქნას იმ ტერიტორიების გარემოსდაცვითი მახასიათებლები, რომლებიც ექცევიან მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ, მათ შორის იმ ტერიტორიების მახასიათებლებიც, რომლებიც სტრატეგიულ დოკუმენტში განხილული ტერიტორიის ფიზიკურ საზღვრებს მიღმა მდებარეობენ.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის მე-3 თავში.
10	სგშ-ის ანგარიშში ზემოქმედებების პროგნოზირებისა და შეფასებისთვის გამოყენებულ იქნას სათანადო სტანდარტები, რეგულაციები და ზღვრული სიდიდეები. აღწერილ იქნას ზემოქმედებების შეფასების მეთოდები. გარდა შემოთავაზებული	ასახულია სგშ-ის ანგარიშის მე-4 თავში და დანართში გ).

	მატრიცებისა, მიგნებები და ზემოქმედების სახეები ასევე ნაჩვენები იქნას გრაფიკული სახით (დიაგრამები და სქემები).	
11	სგშ-ის ანგარიშში მოცემულ იქნას იმ ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გაცემულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, შესაბამის რუკაზე დატანით.	რუკა, რომელზეც დატანილია ენერგეტიკული და ენერგოსატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რომლზეც გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში გაცემულია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი წარმოდგენილია დანართში (კ)
12	სგშ-ის ანგარიშში საჭიროა არსებული და დაგეგმილი ჰესების, მზის და ქარის ელექტროსადგურების, თბოელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული/ გამოსამუშავებელი ენერგიის გამოყოფა.	წარმოდგენილი სგშ-ის ანგარიშის ქვეთავში 2.1
13	სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ. ასევე, წარმოდგენილ იქნას ინფორმაცია ენერგეტიკულ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის მექანიზმების შესახებ.	სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 1.2 და დანართში ვ). ენერგეტიკულ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის მექანიზმების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში.
14	სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების მონიტორინგთან დაკავშირებულ ინფორმაციას, სადაც ასევე აისახება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები;	განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.9.
15	სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბუნებრივი კლიმატური სარტყლების წანაცვლების შედეგად გამოწვეული გაზრდილი საირიგაციო წყალმოხმარების გავლენა ენერგეტიკული პოლიტიკის შემუშავების სფეროზე;	კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით განპირობებული გაზრდილი კონკურენცია წყლის რესურსებზე წყალმომხმარებელ სექტორებს შორის განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.7.

16	სგშ-ის ანგარიშში ჩასატარებელ კვლევებს უნდა დაემატოს საბაზისო კვლევა დაგეგმილი პროექტებისა და ენერგოსატრანსპორტო ქსელების კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის შესაფასებლად. კერძოდ, სტრატეგიული დოკუმენტის ღონისძიებები უნდა შეფასდეს გარემოს ცვალებადი საბაზისო პირობების მიმართ. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საბაზისო ცვლილებებმა სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე და როგორ უნდა რეაგირებდეს ღონისძიებები დროთა განმავლობაში (კლიმატის ცვლილების არსებულ და სამომავლო სცენარებზე დაყრდნობით).	სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობის სრულფასოვანი შეფასების კვლევის ჩატარება შეუძლებელი იყო საჭირო კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ეტაპზე დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა, სგშ-ის ანგარიშში, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად (მუხლი 26), ზოგადად გაანალიზებულია დაგეგმილი ღონისძიებებისათვის კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მთავარი რისკები. ეს საკითხები განხილულია თავებში: 4.1.7, 4.2.7, 4.3.7, 4.4.7. ხოლო შერბილების ღონისძიებები წარმოდგენილია დანართი გ)-ს შესაბამის ნაწილებში.
17	სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნეს ინფორმაცია გაზის მიწოდების უსაფრთხოების გაზრდის და სეზონური და დღე-ღამური მიწოდება-მოხმარების დარეგულირების მიზნებისათვის გაზის მიწისქვეშა საცავის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებისა და სხვა ალტერნატიული გადაწყვეტის გზების თაობაზე.	განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავებში 4.4.2 და 4.4.3 და ასევე, დანართში გ).
18	სგშ-ის ანგარიშში მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა.	წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში - ლიტერატურა.
19	სგშ-ის ანგარიშში და სტრატეგიულ დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს შესაბამისობაში.	გათვალისწინებულია.
20	სგშ-ის ანგარიშზე თანდართულ არატექნიკურ რეზიუმეში აღწერილ იქნას სგშ-ს მიდგომა, სტრატეგიული დოკუმენტების ამოცანები, განხილული ვარიანტები და სგშ-ს შედეგად სტრატეგიულ დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებები.	გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის დანართში ა).
სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელი ინფორმაცია:		

1)	ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის) კონვენციისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, ამჟამად საქართველოში ზურმუხტის ქსელის განვითარება მიმდინარეობს. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოში დამტკიცებულია ზურმუხტის ქსელის 66 ტერიტორია, რომლის ჯამური ფართობი 1 306 748 ჰა-ს შეადგენს, რაც ქვეყნის ტერიტორიის ფართობის 18.7%-ია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დაცული ტერიტორიების 68% თანხვედრაშია ზურმუხტის ქსელთან (რუკა 1).	აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.5. დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს დაცული ტერიტორიების 44%-ია თანხვედრაში ზურმუხტის ქსელთან.
2)	საქართველოს დაცული ტერიტორიების არსებული ქსელი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოიცავს 14 ნაკრძალს, 14 ეროვნულ პარკს, 26 აღკვეთილს, და 40 ბუნების ძეგლს, 5 დაცულ ლანდშაფტს, 1 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას. საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელს 912 908 ჰა, ანუ ქვეყნის ფართობის 13.1% უკავია.	აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.5.
3)	გვ. 21 - რუკა 1-ზე დატანილია საქართველოში არსებული და დაგეგმილი დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კატეგორიებიდან მხოლოდ ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები. აღსანიშნავია, რომ გვ. 48-ზე შემდეგი ინფორმაციაა მოყვანილი - ,,ახლახან UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის (MAB) ფარგლებში მიღებული იქნა გადაწყვეტილება კახეთის რეგიონში ორი ბიოსფერული რეზერვატის (დედოფლისწყაროს და სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი)“ შექმნის შესახებ.“ ,,დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის (დაცული ტერიტორიების კატეგორიები) თანახმად, საქართველოში დასაშვებია არსებობდეს – ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია. ზემოაღნიშნულის საფუძველზე აუცილებელია ამ საკითხზე სგშ-ის ანგარიშში სრულფასოვანი ინფორმაციის დამატება.	აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.5.

4)	სგშ-ის ანგარიშში საჭიროა დაემატოს ინფორმაცია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების (IBA) შესახებ. 2011 წლიდან შეირჩა 32 ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ტერიტორია საქართველოს მასშტაბით. ასევე უნდა დაემატოს ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილებისა (IBA) და ფრინველთათვის სპეციალური დაცვის ტერიტორიების (SPA) შესაბამისი რუკები.	აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.4.
5)	ენერგეტიკის პოლიტიკის დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების თაობაზე, სადაც მიმოხილულია საკანონმდებლო და ინსტიტუციური საკითხები და შეფასებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების მექანიზმის ეფექტიანობა. გასათვალისწინებელია, რომ საქმიანობა, რომელიც გზშ-ს არ ექვემდებარება, რეგულირდება საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებითა და გარემოსდაცვითი ნორმებით. ნავთობისა და გაზის ოპერაციებთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობით.	გარემოსდაცვითი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც განსაზღვრავს ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურებს წარმოდგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში, გვ.92
6)	ცხრილი 2: სგშ-ს ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები (გვ. 25-36) გასათვალისწინებელია შემდეგი საკითხები:	
	• „ნაგავსაყრელების დახურვის სამუშაოებისა და ემისიების“ სტრესის ფაქტორთან (გვ. 25) მიმართებით ჰაერზე ზემოქმედების ნაწილი უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ზოგადად (მაგ: „ჰაერის დაბინძურება ლოკალურ დონეზე"), რადგან აღნიშნული ფაქტორი ზრდის ჰაერის დაბინძურებას, თუმცა აუცილებლად არ განაპირობებს მის ცუდ ხარისხს;	ქვეთავში 4.1.2.1 სადაც განხილულია ნაგავსაყრელების დახურვის სამუშაოების ჰაერის ხარისხზე პირდაპირი ზემოქმედების საკითხები, მოცემული საქმიანობის ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება შეფასებულია როგორც პოზიტიური ეფექტის მქონე, გამომდინარე იქედან, რომ ეს გამოიწვევს მავნე ნივთიერებების ჰაერში ემისიის შემცირებას არსებული ნაგავსაყრელების დახურვის და ნარჩენების მართვის გაუმჯობესების შედეგად. შემაჯამებელ ცხრილში (დანართი გ) ზეწოლა ფორმულირებულია ზოგადი სახით - ჰაერის დაბინძურება.

	• ვინაიდან, ქვემოჩამოთვლილი ფაქტორები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ატმოსფერულ ჰაერზე, ჰაერზე ზემოქმედების აღწერა უნდა დაემატოს შემდეგ სტრესის ფაქტორებთან: „მშენებლობა ქარის ელექტროსადგურები“ (გვ. 26); „ახალი ინფრასტრუქტურის ტერიტორიის შერჩევა, მშენებლობა, ექსპლუატაცია“ (გვ. 32); „წყალსაცავებიანი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა“ (გვ. 32); ზედაპირული/ წიაღისეული რესურსების მოპოვება“ (გვ. 34); „ინფრასტრუქტურის ტერიტორიის შერჩევა, მშენებლობა, ექსპლუატაცია“ (გვ. 35; ნავთობის სექტორი); „ახალი ინფრასტრუქტურის ტერიტორიის შერჩევა, მშენებლობა, ექსპლუატაცია“ (გვ. 35; ქვანახშირის სექტორი).	განახლებადი ენერგიის განვითარების პროექტების ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.2.2. ასევე, დანართში გ), სადაც შეტანილია მხოლოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედებები, შეტანილია ზეწოლა - მტვრის ემისია ატმოსფერულ ჰაერში ჰიდროელექტროსადგურების და მზის ელექტროსადგურების მშენებლობის და ოპერირების ფაზაში, ხოლო ქარის ელექტროსადგურების შემთხვევაში - ხმაური ოპერირების ფაზაში. წიაღისეული რესურსების მოპოვებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებული საქმიანობების ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე განხილულია თავში 4.4.2. ასევე, შესაბამისი მნიშვნელოვანი ზეწოლები შეტანილია დანართში გ).
	• „შესაძლო ზემოქმედებების მიმოხილვის“ ქვეთავში (გვ. 57) მითითებულია, რომ განსახილველი პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი ზემოქმედებები, მაგალითად „ოჯახების მიერ ბიომასის მოხმარების ზრდა“. აღნიშნული შესაძლო შედეგი არ არის განხილული ცხრილი 2-ში არცერთ სტრესის ფაქტორად. ასევე, საჭიროა პოლიტიკის დოკუმენტის ფარგლებში განსაზღვრულმა ღონისძიებებმა არა თუ განაპირობონ შინამეურნეობებში შეშის მოხმარების კიდევ უფრო ზრდა, რაც ისედაც პრობლემაა დღესდღეობით, არამედ შეამცირონ ის.	სგშ-ის ანგარიშში არ არის იდენტიფიცირებული აღნიშნული ზემოქმედება - „ოჯახების მიერ ბიომასის მოხმარების ზრდა“ სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან კავშირში. შესაბამისად, აღნიშნული ზემოქმედება არ არის განხილული.
7)	იმისთვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს ფაქტორების ზემოქმედება გარემოს კომპონენტებზე, უფრო გასაგებად ჩამოყალიბდეს შემდეგი სტრესის ფაქტორები: „ბიომასა/ბიოსაწვავი მინდვრების მართვის ინტენსიფიკაცია“ (გვ. 28); „მზის ენერგიით გაცხელებული წყალი დამბინძურებლების გათავისუფლება“ (გვ. 29).	გათვალისწინებულია დანართში გ).

8)	საჭიროა უკეთ ჩამოყალიბდეს ჰაერზე ზემოქმედების ველები შემდეგ სტრესის ფაქტორებზე: „ახალი ინფრასტრუქტურის ტერიტორიის შერჩევა, მშენებლობა, ექსპლუატაცია ორი კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის ჩათვლით (სულ 500 მგვტ)“ (გვ. 31-32); „ახალი ინფრასტრუქტურის ტერიტორიის შერჩევა, მშენებლობა, ექსპლუატაცია“ (გვ. 33); ნახშირწყალბადების გამოყენების ზრდა (გვ. 34).	კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურების მშენებლობით და ოპერირებით გამოწვეული ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.3.2 და ასევე, დანართში გ).
9)	სკოპინგის განცხადების 57-ე გვერდის პირველი აბზაცის პირველ წინადადებაში ჩამოთვლილია ენერგეტიკული სექტორიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, ხოლო მეორე წინადადებაში მითითებულია, რომ PM-ის, CO-ს, NOx-ის და SO2-ის ემისიები ძირითადად საწვავის წვის შედეგად ხდება. აღსანიშნავია, რომ საწვავის წვა ასევე წარმოადგენს ენერგეტიკული სექტორიდან აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) ემისიების მთავარი წყაროს და საჭიროა აღნიშნული მავნე ნივთიერებაც დაემატოს მეორე წინადადებას, ან არ მოხდეს მავნე ნივთიერებათა დაკონკრეტება.	მითითებული ტექსტი გასწორებულია სგშ-ის ანგარიშის 3.1 თავში.
10)	სკოპინგის განცხადების 57-ე გვერდის პირველი აბზაცის მესამე წინადადებაში მითითებულია, რომ აღნიშნული აბზაცის პირველ და მეორე წინადადებაში აღწერილი ემისიები ასევე მოიცავს ოჯახების მიერ შეშისა და ბუნებრივი აირის მოხმარების შედეგად დახურული სივრცის ჰაერის დაბინძურებას. აღსანიშნავია, რომ „ნახაზი 3“-ზე მოცემული სტატისტიკა მოიცავს ოჯახების მიერ შეშისა და ბუნებრივი აირის მოხმარების შედეგად მხოლოდ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას. შესაბამისად, საჭიროა შესწორდეს წინადადება და დახურული სივრცე აღარ იქნეს ნახსენები მასში.	მითითებული ტექსტი გასწორებულია სგშ-ის ანგარიშის 3.1 თავში.
11)	სკოპინგის განცხადებაში 57-ე გვერდის პირველი აბზაცის ბოლო (მეოთხე) წინადადებაში მითითებული ინფორმაცია აქროლადი ორგანული ნაერთების (VOC) გაფრქვევის წყაროებთან დაკავშირებით ეფუძნება 2013 წლის ინვენტარიზაციას და დღესდღეობით იგი აღარ	მითითებული ტექსტი გასწორებულია სგშ-ის ანგარიშის 3.1 თავში.

	არის ვალიდური. შესაბამისად, საჭიროა აღნიშნული წინადადების ამოღება.	
12)	„სგშ-ს ანგარიშში განსახილველი ზემოქმედებების“ ქვეთავში (გვ. 58) მოცემულ ჩამონათვალში არ არის შეყვანილი ელექტროენერგიის სექტორი, რომელიც ცხრილი 2-ში (გვ. 25) წითლად არის მონიშნული. ამავე ცხრილში ჰაერზე ზემოქმედების ნაწილი ასევე შევსებულია სხვა მიზნებისთვის/სტრესის ფაქტორებისთვის (ან უნდა იყოს ზემოაღნიშნული კომენტარების გათვალისწინებით), რომელიც აგრეთვე არ არის ჩამონათვალში (გვ. 58). ჩამონათვალში არის „ბუნებრივი აირის შიდა რესურსების ათვისება“, რომელზედაც ცხრილი 2-ში (გვ. 34) არ არის შევსებული ჰაერზე ზემოქმედების ნაწილი. შესაბამისად, გაურკვეველია, კონკრეტულად რა პრინციპით იხელმძღვანელა ავტორმა ჰაერის კუთხით სგშ-ს ანგარიშში განსახილველი ზემოქმედებების შერჩევისას. საჭიროა გადაიხედოს ჩამონათვალი, შედარდეს ცხრილი 2-თან და სგშ-ის ანგარიშში განხილულ იქნას ცხრილი 2-ში მითითებული ჰაერზე ყველაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედებები.	სგშ-ის ანგარიშში და ასევე შემაჯამებელ ცხრილში (დანართი გ) ღონისძიებები წარმოდგენილია ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განახლებული ვერსიის შესაბამისად, გეგმაში წარმოდგენილი მიმართულებების და მიზნების მიხედვით. ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილია თითოეული მიმართულების და მიზნის ქვეშ არსებული ღონისძიებებისთვის.
13)	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტის 4.1 ქვეთავში (ძირითადი ეგზოგენური ფაქტორების სავარაუდო ევოლუცია, რომლებიც გავლენას ახდენენ ენერგეტიკულ სისტემაზე და სათბურის გაზების ემისიის განვითარებაზე) (გვ. 146), საუბარია, რომ საბაზისო სცენარის მიხედვით, მყარი ნარჩენების დასამარხი ნაგავსაყრელების რაოდენობა, 18-დან (2014 წელი), გაიზრდება 49-მდე 2030 წელს და მათი გარკვეული რაოდენობა წლების განმავლობაში დაიხურება. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ინფორმაციით, 2014 წელს უკვე ოპერირებდა შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მართვაში 54 ნაგავსაყრელი. 2030 წლისათვის, კი, დაგეგმილია 6 ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის აშენება და შპს	დაკორექტირებულია გეგმის განახლებულ ვერსიაში (ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა, ცვლილებები ნარჩენების სექტორში (გვ. 149).

	„საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მართვაში არსებული ყველა ნაგავსაყრელის ეტაპობრივი დახურვა.	
14)	საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სკოპინგის განცხადებაში (ცხრილი 2: სგშ-ს ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები) ნარჩენების სექტორთან დაკავშირებული ღონისძიებების შესაძლო სოციალურ- ეკონომიკურ ზემოქმედებად დასახელებულია ადგილობრივი საცხოვრებელი პირობებისა და ქონების ღირებულების დაკარგვა. შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ინფორმაციით, ახალი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონული ნარჩენების განთავსების ობიექტების მშენებლობა განხორციელდება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.	აღნიშნული ზემოქმედება განხილულია როგორც პოტენციური ზემოქმედება, რომელიც ზოგადად უკავშირდება მუნიციპალური (მათ შორის თანამედროვე სტანდარტების მქონე) ნაგავსაყრელების მშენებლობას (მაგ. ნაგავსაყრელიდან ემისიების მინიმიზაციის შემთხვევაშიც კი, რასაც ასევე სჭირდება სათანადო პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, რჩება ლანდშაფტზე ზემოქმედების ფაქტორი, რაც ზემოქმედებას ახდენს მიმდებარე დასახლებებზე). სგშ-ის ანგარიშში და შემაჯამებელ ცხრილში (დანართი გ) წარმოდგენილია შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნული ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილებისთვის.
15)	წარმოსადგენი სგშ-ის ანგარიში უნდა იყოს კონცენტრირებული ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განხორციელების შედეგად მოსალოდნელ უარყოფით ზემოქმედებებზე. სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ის ღონისძიებები, რომლებიც მაქსიმალურად ზრდიან სარგებელს და მინიმუმამდე ამცირებენ განხორციელებისას გამოწვეულ არასასურველ უარყოფით შედეგებს გარემოზე.	განხილულლია მე-4 თავში და დანართში გ).
16)	თავში - GHG-14: ახალ დაცულ ტერიტორიებში შემავალი ტყის დაცვა ან/და მდგრადი მართვა - აღნიშნულ თავში პასუხისმგებელ უწყებაში მოხსენიებულია მხოლოდ სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო, გაცნობებთ, რომ დაცულ ლანდშაფტებს მართავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტები და რიგ შემთხვევებში ტყის ნაწილს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო. ამასთან, ტანისა და თეძმის დაცული ლანდშაფტის შექმნასთან ერთად ტყის მდგრად მართვაში	აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.1.5.1.

	პასუხისმგებელ უწყებებში უნდა დაემატოს გორის მუნიციპალიტეტის მერია.	
17)	გვ. 21 - რუკა 1. საქართველოს მთავარი დასახლებული ტერიტორიები, ქალაქები, დაცული და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები - დასახლებული ტერიტორიების სახით დატანილია მხოლოდ ძირითადი ქალაქები, ხოლო ლეგენდაში ეს თემატიკა ასახული არ არის. საჭიროა ცალკე თემატურ რუკაზე დატანილი იყოს საქართველოში არსებული განსახლების სისტემის შემადგენელი დასახლებების ყველა კატეგორიის - ქალაქების, დაბების და სოფლების ძირითადი ნაწილი.	აღნიშნული რუკის შეტანა, რომელიც ზოგადი ხასიათისაა არ ჩაითვალა მიზანშეწონილად . სანაცვლოდ სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სპეციფიკური, თემატური რუკები.
18)	გვ. 66 – 3.2.10 კულტურული მემკვიდრეობა: რეკომენდებულია დაემატოს ინფორმაცია შემუშავების პროცესში არსებული - ქალაქ მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შესახებ. ასევე ქ. მცხეთის სივრცით- ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის შესახებ. ამასთან, გვ. 66 -78 3.2.10 – 3.2.12 თავებში დასახლებებთან დაკავშირებულ ნაწილებს უნდა დაემატოს ინფორმაცია დამტკიცებული სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შესახებ. ასევე, მასალები ამ სტრატეგიული დოკუმენტების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში შემუშავებული ეტაპობრივი დოკუმენტების შესახებ.	გათვალისწინებულია. სგშ-ის ანგარიშის თავში 3.9.
19)	გვ. 66 -78 3.2.10 – 3.2.12 თავებში დასახლებებთან დაკავშირებული მოკლე ნაწილობრივი მიმოხილვის ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს განსახლების სისტემის შესაბამისი ინფორმაცია დასახლებების რაოდენობის, მოსახლეობის რიცხოვნობის, ტერიტორიების ფართობების, სიმჭიდროვეების შესახებ. ასევე, რეკომენდებულია დაემატოს ინფორმაცია დემოგრაფიის, სატრანსპორტო სისტემების, საინჟინრო ქსელებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის შესახებ.	სტრატეგიული დოკუმენტების დაფარვის ზონის მასშტაბიდან გამომდინარე შეუძლებელი იყო აღნიშნული დეტალების შეტანა სტრატეგიულ დოკუმენტებში წარმოდგენილი თითოეული ღონისძიების განხორციელების ადგილისთვის ქვეყნის მასშტაბით. ასევე, განსახორციელებელი ღონისძიებების დიდი ნაწილის ზუსტი ადგილმდებარეობა ამ ეტაპზე არ არის ცნობილი.

20)	გვ. 78 – 3.3. ,,გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები“, ინფორმაცია საჭიროა გასწორდეს შემდეგნაირად: ,,გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.“	კონტექსტის მიხედვით სგშ-ის ანგარიშში გამოყენებულია „ზემოქმედება“ ან „უარყოფითი ზემოქმედება“
21)	სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ბუნებრივი კლიმატური სარტყლების წანაცვლების პროცესის გავლენა მოქმედ და დაგეგმილ სამთო-სათხილამურო ტრასების თოვლით უზრუნველყოფაზე (ხელოვნური გათოვლიანება);	აღნიშნული საკითხი არ იქნა ასახული სგშ-ის ანგარიშში, რადგან სტრატეგიული დოკუმენტები არ მოიცავს სამთო-სათხილამურო ტრასებთან დაკავშირებულ ღონისძიებებს და ასევე, ეს საკითხი ცდება ენერგეტიკის სფეროს.
22)	საჭიროა რუკებს სგშ-ის ანგარიშის წარმოდგენის ეტაპზე დაერთოს სათანადო განმარტებები.	სგშ-ის ანგარიშში რუკები წარმოდგენილია შესაბამისი ინფორმაციის მითითებით.
23)	სკოპინგის განცხადების გვ.26 და გვ.32 წარმოდგენილი ცხრილი 2: „სგშ-ის ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებები”, განახლებადი ენერგიის წყაროებიდან საბოლოო ენერგიის მოხმარების წილის გაზრდის და ადგილობრივი რესურსების ათვისებით ზემოქმედების სვეტში მხოლოდ ფაუნის უჯრაა მონიშნული ყვითლად და არ არის ნახსენები ფლორა, შესაძლებელია დაზიანდეს ენერგოობიექტების სივრცითი „ნაკვალევის“ შედეგად სახეობების და მცენარეული ჰაბიტატები. მაგალითად, ქარის ელექტროსადგურების მშენებლობისას, უარყოფითი ზემოქმედება იქნება მცენარეულ საფარზე და არა მხოლოდ მშენებლობისას, არამედ ექსპლუატაციის პროცესშიც, რადგან აუცილებელი გახდება ქარის ელექტროსადგურებთან მისასვლელი გზების მოწყობა, რომელიც შესაძლოა ვეგეტატიურად გამრავლებადი მცენარეებისთვის გახდეს გადაულახავი ბარიერი, ასევე გასათვალისწინებელია კლიმატის ცვლილების როლიც, რომელიც გავლენას ახდენს მცენარეთა გავრცელების არეზე. შესაბამისად, საჭიროა განახლებადი ენერგიის წყაროებიდან საბოლოო ენერგიის მოხმარების წილის გაზრდის და ადგილობრივი რესურსების ათვისებით ზემოქმედების განხილვისას გათვალისწინებული იქნეს, როგორც ფაუნის, ისე ფლორის საკითხები.	სგშ-ის ანგარიშში განხილულია განახლებადი ენერგიის განვითარების პროექტების ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე (ფლორასა და ფაუნაზე). მათ შორის, განხილულია ქარის ელექტროსადგურების ზემოქმედება ფლორაზე, განხილულია ჰაბიტატების კარგვა და ფრაგმენტაცია.

	საჭიროა, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნეს სგშ-ის ანგარიშში.	
24)	NECP-ის V თავში (გვ.90) წარმოდგენილია ინფორმაცია საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ, რომელიც წარმართავს ავტორიზაციის, სერტიფიცირებისა და ლიცენზირების პროცედურებს გარემოს დაცვის სფეროში. საჭიროა ინფორმაცია განახლდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.	დაკორექტირდა გეგმის განახლებულ ვერსიაში შესაბამისი ბმულების მითითებით (გვ. 93)
25)	მეთოდოლოგიისა და შესაძლო ზემოქმედებების ნაწილში გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება უნდა დაემატოს ერთ-ერთი ქვეთავის სახით. ასევე, სგშ-ის ანგარიშში განსახილველი შესაძლო ზემოქმედებების ცხრილში, გარემოს კომპონენტების და შესაძლო ზემოქმედებების ნაწილში უნდა მოხდეს გეოლოგიის ცალკე პუნქტად დამატება. მე-80 გვერდზე, სგშ-ს ანგარიშში წარმოსადგენი ინფორმაციის ჩამონათვალში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი უნდა იყოს „ზოგადი საპროგნოზო ინფორმაცია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ“. აღნიშნულის ნაცვლად, სგშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს დეტალური კვლევების (მათ შორის გეოლოგიური კუთხით) შედეგად მიღებულ ინფორმაციას სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელებით გარემოზე შესაძლო მნიშვნელოვანი ზემოქმედების შესახებ.	გეოლოგიური საფრთხეების შესახებ საბაზისო მდგომარეობის აღწერა მოცემულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.8, ხოლო ინფორმაცია შესაძლო გეოლოგიური საფრთხეების შესახებ დაგეგმილი ენერგო ინფრასტრუქტურული ობიექტების, კერძოდ, ქარის, მზის და ჰიდროელექტროსადგურებისათვის ასევე, ნავთობისა და გაზის მილსადენებისათვის წარმოდგენილია თავში 4.5. დანართში გ) შეტანილია გეოთერმული სითბოს წარმოების პროცესთან დაკავშირებული ზოგადი ზემოქმედებები როგორიცაა გრუნტის დაწევა და მიწისძვრების გაზრდილი რისკი და წარმოდგენილია შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებები. სტრატეგიული დოკუმენტებით დაგეგმილი კონკრეტული პროექტების გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების საკითხები შესწავლილ უნდა იქნეს პროექტის დაგეგმვის დონეზე, როცა პროექტის ადგილმდებარეობის და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია იქნება ხელმისაწვდომი.
26)	სგშ-ის ანგარიშში ჩასწორდეს შემდეგი ტერმინები და წინადადებები:	
	1. „კლიმატის დაცვის გზით“ (სკოპინგის განცხადების გვ. 11) - ჩანაწერის, ნაცვლად ჩასწორდეს „გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების შერბილების გზით“.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ტერმინი გასწორებულია .

	2. „საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების პოპულაციების შემცირება“ (სკოპინგის განცხადების გვ 27) - შემცირების ნაცვლად სგშ-ის ანგარიშში საჭიროა ჩაიწეროს - მდგომარეობის გაუარესება.	გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ზემოქმედება ინდივიდების ფიზიკური განადგურების პოტენციურ საფრთხეს უკავშირდება, ზეწოლა ფორმულირებულია როგორც საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება.
	3. ტერმინი „რიცხოვნობის შემცირება“ (სკოპინგის განცხადების გვ. 40) საჭიროა შეიცვალოს შემდეგით - „მდგომარეობის გაუარესება“.	სგშ-ის ანგარიშში რიცხოვნობის შემცირება ნახსენებია ქარის ტურბინების ზემოქმედების კონტექსტში.
	4. სკოპინგის განცხადების გვ. 40 მოცემული ინფორმაცია- „ჰაბიტატებსა და ბიომრავალფეროვნებას საფრთხეები ექსპლუატაციის ეტაპზეც ექმნება, მაგალითად, ქარის ტურბინების მიერ ხელფრთიანებისა და ფრინველებისათვის შექმნილი პირდაპირი საფრთხე, განსაკუთრებით მიგრაციის დროს. ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და ბიომრავალფეროვნების ობიექტების გადაადგილების შეფერხება აქვეითებს ბიომრავალფეროვნების პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობას. ჰაბიტატების ფრაგმენტაციისა და ბიომრავალფეროვნების გადაადგილების შეფერხების შედეგად თანდათანობით მცირდება საკვები ბაზა და ქვეითდება რეპროდუქციული შესაძლებლობები.“ სგშ-ის ანგარიშში ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ჰაბიტატებსა და ბიომრავალფეროვნებას საფრთხეები ექსპლუატაციის ეტაპზეც ექმნება, მაგალითად, ქარის ტურბინების მიერ ხელფრთიანებისა და ფრინველებისათვის შექმნილი პირდაპირი საფრთხე, განსაკუთრებით გამრავლებისა და მიგრაციის პერიოდში. ჰაბიტატების ფრაგმენტაცია და ბიომრავალფეროვნების ობიექტების გადაადგილების შეფერხება აქვეითებს სახეობათა პოპულაციების სიცოცხლისუნარიანობას. ჰაბიტატების ფრაგმენტაციისა და ცხოველების გადაადგილების შეფერხების შედეგად თანდათანობით მცირდება საკვები ბაზა და ქვეითდება რეპროდუქციული შესაძლებლობები“.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი. აღნიშნული საკითხები განხილულია შესაბამის კონტექსტში, განსხვავებული ფორმულირებით., თუმცა შენიშვნაში შემოთავაზებული საკითხები ასახულია.

	5. სკოპინგის განცხადების გვ. 44-ზე, მეორე აბზაცის მეოთხე სტრიქონში ტერმინი „სტრესი“ ჩანაცვლდეს „ზეწოლით“, აგრეთვე დოკუმენტის ყველა შესაბამის ნაწილში.	გათვალისწინებულია, მათ შორის დანართში გ).
	6. სკოპინგის განცხადების გვ. 44-ზე არსებული ჩანაწერი - „საქართველოში მდებარეობს 60 KBA, ფართობით 21,335 კმ2, აქედან 6,616 კმ2 დაცულია სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებში, ხოლო 5.7% მკაცრად დაცულ ნაკრძალებში (IUCN-ის დაცული ტერიტორიების I კატეგორია)“ უნდა ჩასწორდეს შემდეგნაირად -საქართველოში მდებარეობს 60 KBA, ფართობით 21,335 კმ2, აქედან რომლიდანაც 6,616 კმ2 დაცულია სხვადასხვა კატეგორიის დაცულ ტერიტორიებში; ,KBA-ის ხოლო 5.7%-ს გააჩნია სანაკრძალო დაცვის რეჟიმი. მკაცრად დაცულ ნაკრძალებში (IUCN-ის დაცული ტერიტორიების I კატეგორია).“	აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.4.
	7. „შესაძლო ზემოქმედებების მიმოხილვის“ ქვეთავში (სკოპინგის ანგარიშის გვ. 57) ნაცვლად „უხეში და წვრილი ნაწილაკებისა“ უნდა მიეთითოს „უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები“.	სგშ-ის ანგარიშში გამოყენებულია ტერმინი უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკები.
	8. სკოპინგის განცხადების 3.2.7 ჰაერის (გვ. 56-59) ქვეთავის ნაწილში მოცემულია ნახაზი 3: „ეკონომიკის დარგების წილი მავნე ნივთიერებების მთლიან ემისიებში”. 2019 წ. (გვ. 57) - აღნიშნულ ნახაზზე გაფრქვევები დაყოფილია დანიშნულების მიხედვით და ენერგეტიკული სექტორი არ მოიცავს ტრანსპორტს და საწვავის მოხმარებას სამრეწველო სექტორში, რაც დაანგარიშებულია ცალკე ტრანსპორტისა და მრეწველობის (სხვა სამრეწველო პროცესებთან ერთად) სექტორებში. შესაბამისად, „ნახაზი 3“ 57-ე გვერდის პირველ აბზაცში მითითებული არგუმენტაციისთვის არ გამოდგება. ამიტომაც, უნდა ჩანაცვლდეს „ნახაზი 3“, ან ზემოაღნიშნული აბზაცის პირველ წინადადებაში დაზუსტდეს, რომ ნახაზისგან განსხვავებით ენერგეტიკული სექტორი, რომელიც ასევე მოიცავს საწვავის მოხმარებას ტრანსპორტისა და მრეწველობის სექტორებში, არის მყარი ნაწილაკების (PM) და ა.შ.	სკოპინგის ანგარიშში მოცემული ნახაზი 3 სგშ-ის ანგარიშში ჩანაცვლებულია განახლებულია, 2020 წლის მონაცემებით (წყარო 2018-2021 წლების გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება). ასევე, ანგარიშში დამატებულია შენიშვნაში მითითებული დიაგრამა, სადაც ენერგეტიკის სექტორის ემისიებში შეტანილია მრეწველობის და ტრანსპორტის სექტორებში საწვავის მოხმარების შედეგად წარმოქმნილი ემისიები.

	ემისიების მთავარი წყარო. სგშ-ის ანგარიშში „ნახაზი 3-ის“ ჩანაცვლების შემთხვევაში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას შემდეგი დიაგრამა: https://drive.google.com/file/d/17uAxAx8fSNyaMJ4Yc5UaHNQlhuTC2cCV/view?usp=share_link. ამასთან, „ნახაზი 3“ მოიცავს 2019 წლის მონაცემებს და საჭიროა განახლდეს 2020 წლის მონაცემებით, რომელიც ხელმისაწვდომია „2022-2026წლებისთვის საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნულ პროგრამაში" 53-ე გვერდზე (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/34047).	
	9. „ახმეტის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფი არასამეწარმეო იურიდიული პირი ”თუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის” ნაცვლად მითითებული უნდა იქნეს ააიპ „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“;	აღნიშნული ინფორმაცია გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.6.
	10. მცხეთის ისტორიული ძეგლები (1994), გელათის სამონასტრო კომპლექსი (1994) და ზემო სვანეთი (1996) მიეკუთვნება მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურულ ობიექტებს, ხოლო კოლხეთის ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიო მემკვიდრეობის ბუნებრივი ობიექტების კატეგორიას.	გათვალისწინებულია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.9.
27)	სკოპინგის განცხადებაში, გვ. 26-ზე ცხრილში N2, მიზნის „ნარჩენების სექტორთან დაკავშირებული ემისიების შემცირება“ - ზემოქმედებებში არ არის ასახული საკმარისი ინფორმაცია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შესახებ, თუმცა იდენტიფიცირებული ზემოქმედებები ზეგავლენას ახდენს ბიომრავალფეროვნებაზე. აღნიშნული გათვალისწინებულ უნდა იქნას ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების ასპექტში სგშ-ის ანგარიშში.	მიზნის „ნარჩენების სექტორთან დაკავშირებული ემისიების შემცირება“ ნაწილში სგშ-ის ანგარიშში ლანდშაფტზე ზემოქმედება განხილულია როგორც მნიშვნელოვანი ზემოქმედება და შესაბამისად განხილულია სგშ-ის ანგარიშში. ხოლო ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება, საპროექტო ტერიტორიების სიმცირიდან გამომდინარე არ არის განხილული როგორც მნიშვნელოვანი ზემოქმედება (თუ ადგილი არ ექნება ტოქსიკური ემისიების წარმოქმნას). აქედან გამომდინარე, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება არ არის განხილული სგშ-ის ანგარიშში და შესაბამისი ზეწოლა არ არის შეტანილი შემაჯამებელ ცხრილში (დანართი გ).

		ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება განხილული იქნება პროექტის დაგეგმვის დონეზე, გზშ-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ლანდშაფტზე ზემოქმედების შერბილების ნაწილში შემოთავაზებული ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები ასევე მოიცავს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებებს.
28)	სგშ-ის ანგარიშში ჰიდროენერგეტიკის ნაწილთან მიმართებით, ფლორასა და ფაუნის ნაწილში საჭიროა დაემატოს ეკოსისტემური სერვისების/მომსახურების შესუსტება/მოშლა.	ეკოსისტემურ სერვისებზე ზემოქმედების საკითხი განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავში 4.2.5 და ასევე, სხვადასხვა თავებში შესაბამის კონტექსტში.
29)	„3.2.3 ბიომრავალფეროვნება (ფაუნა და ფლორა)“ სგშ-ის ანგარიშში უნდა დაემატოს ტყეზე ზემოქმედების საკითხები.	სგშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული თავები მოიცავს ასევე ტყეზე ზემოქმედების საკითხებს. გარდა ამისა, საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმით გათვალისწინებული ტყის აღდგენის ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოცემულია თავში 4.1.5.
30)	გვ. 41-ზე არსებულ შემდეგ ჩანაწერთან მიმართებით - „დადგინდება კავშირები სტრესის ფაქტორებსა და დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედებებსა და ბიომრავალფეროვნებაზე არაპირდაპირ ზემოქმედებებს შორის (მაგ., ზემოქმედება ქვედა დინების ბიომრავალფეროვნებაზე ზედა დინებაში ენერგიის განახლებადი რესურსების ინფრასტრუქტურის მიერ გამოწვეული წყლის ხარჯის ან ხარისხის ცვლილების შედეგად).“ სგშ-ის ანგარიშში საჭიროა აისახოს, რომ აღნიშნული ეხება მათ შორის საერთაშორისო მნიშვნელობის/მოთხოვნების/ვალდებულებების შესაბამისად შექმნილ დაცულ ტერიტორიებსაც.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი, თუმცა აღნიშნული საკითხი განხილულია თავში 4.2.5. დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების ნაწილში ხაზგასმულია საერთაშორისო მნიშვნელობის/ მოთხოვნების/ვალდებულებების შესაბამისად შექმნილი დაცული ტერიტორიების დაცვის საკითხები.

31)	გვ. 41- ზე შემდეგი ჩანაწერი „ჰიდროელექტროსადგურების კაშხლების მშენებლობა და ექსპლუატაცია. ჰიდროელექტროსადგურების კაშხლებმა შესაძლოა წყალშემკრების ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე სერიოზული არასასურველი ზემოქმედება მოახდინონ. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრთხე, რომელიც ზუთხის არსებობას ექმნება, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ზემოქმედებები ზოგადად ბიომრავალფეროვნებაზე, მათ შორის თევზების სხვა სახეობებზე.“ - წარმოდგენილი ინფორმაცია სგშ-ის ანგარიშში საჭიროა დაკორექტირდეს შემდეგი სახით: - „ჰიდროელექტროსადგურების კაშხლების მშენებლობა და ექსპლუატაცია. ჰიდროელექტროსადგურების კაშხლებმა შესაძლოა წყალშემკრების ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე სერიოზული უარყოფითი ზემოქმედება მოახდინონ. ამ კონტექსტში განსაკუთრებით აღსანიშნავია საფრთხე, რომელიც თევზის სახეობებს ექმნება, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია ზემოქმედებები ზოგადად ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით კუმულაციური ზემოქმედების შემთხვევაში.“	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი. თევზის მიგრირებადი სახეობები ნახსენებია შესაბამის კონტექსტში.
32)	გვ. 41-ზე შემდეგი ჩანაწერი „ჰაბიტატების განადგურება, ფრაგმენტაცია და ბიომრავალფეროვნების გადაადგილებისთვის წინაღობების შექმნა მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების დაქვეითების მთავარი მიზეზია“. - წარმოდგენილი ინფორმაცია სგშ-ის ანგარიშში საჭიროა დაკორექტირდეს შემდეგი სახით: - „ჰაბიტატების განადგურება, ფრაგმენტაცია და ცხოველების გადაადგილებისთვის წინაღობების შექმნა მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების კარგვის ერთერთი ძირითადი საფრთხეა“.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი. ჰაბიტატების განადგურება, ფრაგმენტაცია და ცხოველების გადაადგილებისთვის წინაღობების შექმნა განხილულია როგორც ბიომრავალფეროვნების კარგვის ერთ-ერთი ძირითადი საფრთხე.
33)	გვ. 44-ზე „საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის განხორციელებამ შესაძლოა დამატებითი ზემოქმედება მოახდინოს არსებულ დაცულ ტერიტორიებსა და ...“ – საჭიროა არსებულ ჩანაწერს დაემატოს შემდეგი ფორმულირება: „...და საერთაშორისო	სგშ-ის ანგარიშში ხაზგასმით არის აღნიშნული საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიების და ზურმუხტის ქსელის საიტების დაცვის საკითხები.

	მნიშვნელობის იმგვარი ტერიტორია, როგორიცაა მაგალითად ზურმუხტის ქსელი“.	
34)	გვ. 45-ზე, შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებების მიმოხილვის ბოლო აბზაცში, მიზანშეწონილია შემდეგი ტექსტის რედაქტირება: „სტრესის ეს ფაქტორები უარყოფით ზემოქმედებას მოახდენენ არსებული დაცული და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიების ფარგლებში დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობებზე, როგორც ეს აღწერილია ბიომრავალფეროვნების შესახებ თავი 3.2.1-ში, თუ სამუშაოები ამ ტერიტორიების ფარგლებში, მათ ბუფერულ ზონებში ან მიმდებარე ტერიტორიებზე ჩატარდება.“ - გასათვალისწინებელია, რომ ტექსტი იკითხება იმგვარად, რომ ფლორისა და ფაუნას სახეობები დასაცავია მხოლოდ დაცულ ტერიტორიებში. საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები დასაცავია ქვეყნის მასშტაბით, რაც გამორიცხულია მათი ჰაბიტატის დაცვის გარეშე. ამავდროულად, მკაცრად დასაცავია ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა საერთაშორისო კონვენციებით მკაცრად დასაცავი სახეობები და ჰაბიტატები (მაგ. მიგრირებადი სახეობების შესახებ კონვენციის I დანართის სახეობები, ევროკავშირის ჰაბიტატების დირექტივის მე-4 დანართის სახეობები). შესაბამისად, საერთაშორისო შეთანხმებებიდან გამომდინარე, მთავარი ვალდებულებაა, სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიანი გადარჩენა და მათი სახარბიელო საკონსერვაციო მდგომარეობის შენარჩუნება. პოპულაციას უნდა გააჩნდეს მინიმუმ სტაბილური ტენდენცია, და არა კლებადი.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი. ასევე, ანგარიშში ხაზგასმულია, რომ სახეობების და ჰაბიტატების დაცვა აუცილებელია დაცული ტერიტორიების გარეთაც.
35)	გვ. 46-ზე - „არსებული კანონმდებლობა აღკვეთილების ფარგლებში ენერგიის გარკვეული განახლებადი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა“ - საჭიროა სქოლიოში მიეთითოს შესაბამისი კანონმდებლობა.	სგშ-ის ანგარიშში აღნიშნული ჩანაწერი არ არის შეტანილი.
36)	დოკუმენტში „საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის“ დანართი I-ით წარმოდგენილ ცხრილში „სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ტყისა და	დაკორექტირდა გეგმის განახლებულ ვერსიაში. დანართი I ამოღებულია, ახლი დანართი I მოიცავს განსახორციელებელი ღონისძიებების ნაწილს.

	ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი“ შესაცვლელია ყველგან, შემდეგი ფორმულირებით - „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი“.	
დასკვნითი ნაწილი		
37)	საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სგშ-ის ანგარიში სავალდებულოა მომზადდეს სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის შესაბამისად.	სგშ-ის ანგარიში მომზადებულია სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.
სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული მოთხოვნები		
1	საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის სწორ დაგეგმვაზე (როგორც ეროვნულ, ასე საერთაშორისო დონეზე) და სახელმწიფოებრივი ხედვის ჩამოყალიბებასა და შემუშავებაზე, მთლიანად დამოკიდებულია ქვეყნის სამომავლო გრძელვადიანი განვითარება და სტრატეგიული მიმართულებების მდგრადი ჩამოყალიბება/განვითარება. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური ზონა სწორად უნდა იყოს გამოყენებული. საქართველოში ათასობით ადამიანი სიღარიბის მიღმა ცხოვრობს და არ მიუწვდება ხელი ელექტომომარაგებაზე. გათბობისა და საკვების მოსამზადებლად იყენებენ მყარ საწვავს. რაც იწვევს შენობის შიდა ჰაერის დაბინძურებას და უარყოფით ზემოქმედებას ადამიანის ჯანმრთელობაზე. პოლიტიკის დოკუმენტში არ არის მითითებები, როგორ იქნება უზრუნველყოფილი ენერგეტიკული სიღარიბე, რის საფუძველზე უნდა განაწილდეს და რა ტიპის სოციალურ შეღავათებს ისახავს მიზნად სამომავლოდ.	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში, დანართი I- ში მოცემულია ღონისძიება „ EP-1: მიმდინარე სოციალური დახმარების პროგრამები„ , რომელიც მოიცავს შედარებით ღარიბი და მთიან რეგიონებში მცხოვრები შინამეურნეობების დახმარების პროგრამებს. კერძოდ, შესაბამისი კანონმდებლობის შემუშავებას/მოდიფიკაციას და სოციალური დახმარების პროგრამების განხორციელებას.

2	წარმოდგენილი ვერსიით უცნობია შემუშავდება თუ არა მხარდამჭერი სქემები დროში გაწერილი აქტივობებით, რითაც საჭიროების მქონე მომხმარებლებს ჯგუფს მიეწოდება ენერგიის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა და შეუცვლელია არსებობისათვის.	ამ ეტაპზე, ენერგეტიკული სიღარიბის დაძლევის მიმართულებით მხოლოდ ეს ღონისძიებაა გათვალისწინებული.
3	• წარმოდგენილი ინფორმაცია და შეფასებები არ მოიცავს არსებული მდგომარეობის დეტალურ ანალიზს და წარმოგვიდგენს მხოლოდ ელექტროენერგიის მსხვილი მომხმარებლების მიერ მოხმარებული ენერგიების შესახებ ინფორმაციას. ნაჩვენები უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული სექტორის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის შესახებ, მათ შორის: ავტონომიური რესპუბლიკის, რეგიონის, ოკუპირებული ტეროტორიების ჩათვლით მოხმარებული ენერგიის შესახებ ინფორმაცია. ასევე, მითითებული და დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ინფორმაცია გენერაციის ყველა ობიექტის (ჰიდრო, თბო, მზის, ქარის და სხვა) შესახებ (თუკი მოხდება არსებული ჰიდროელეტროსადგურების რეაბილიტაცია, რა სიმძლავრეები შეიძლება მივიღოთ). მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის სექტორის მიერ მოხმარებული ელექტოროენერგია და დასაგეგმი ღონისძიებები, რომელიც არ არის აღწერილი ანგარიშში.	გეგმაში მოცემულია სექტორების მიხედვით ჩაშლილი ენერგიის მოხმარება, როგორც არსებული ასევე მოდელირების შედეგად მიღებული მაჩვენებლების. ცალკეული რეგიონების მიხედვით, ენერგიის მოხმარების ჩაშლა არ არის საჭირო. მოდელირებისთვის და საპროგნოზო მაჩვენებლების განსაზღვრისთვის საჭირო იყო ინფორმაციის წარმოდგენა მთლიანი ქვეყნის ჭრილში.
4	უფრო მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს გაბახლებადი ენერგიის გამოყენებასა და არსებული ჰესების რეაბილიტაციაზე. მაგალითად ქ. ზუგდიდის ახლოს მდებარეობს ცაიშის თერმული წყლის საბადო. რომლის გონივრულ გამოყენებასა და ჩართვას რეგიონის მდგრად განვითარებასა და ეკონომიკაში ინტეგრირებას დიდი გავლენა ექნება რეგიონის ეკონომიკური განვითარების ხედვასა და სიღარიბის დაძლევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს თერმული წყლების საბადოები. ყველაზე მძლავრი,	MoESD

	დეტალურად დაძიებული და საექსპლუატაციოდ მომზადებული არის ზუგდიდი-ცაიშის თერმული წყლის საბადო. დღეისათვის საბადოს საექსპლუატაციო მარაგები შეფასებულია 14 300m^3 ოდენობით დღე-ღამეში, 800-1000 C ტემპერატურით, რომელიც იღვრება ხევში. სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობით შესაძლებელია ყველა საჯარო დაწესებულების გათბობა ზამთრის ცივ პერიოდში და გასათბობად საჭირო ენერგორესურსის დაზოგვა.	
5	REGULATION (EU) 2018/1999 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December 2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action) შესაბამისად, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ინფორმაციას ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორებისა და პრობლემატიკის შესახებ, რომლის შესახებ მითითებულია ევროპის ტექნიკურ რეგულაციაში, ხოლო შემუშავებულ „განახლებული საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) სკოპინგის ვერსიაში არ არის სათანადოთ გათვალისწინებული.	MoESD ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხები ასევე, შესაბამისი თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავებში: 4.1.9, 4.2.9, 4.3.9 და 4.4.9 და ასევე, დანართში გ).
6	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დოკუმენტში, ბაზისური მონაცემების შესახებ უახლესი ინფორმაციის წარმოდგენას, რათა სამოქმედო გეგმაში სწორად განისაზღვროს სათანადო ღონისძიებები არსებული სიტუაციის და პრობლემების გათვალისწინებით. წარმოდგენილ დოკუმენტებში სტატისტიკური მონაცემების კუთხით გამოყენებულია მოძველებული ინფორმაცია; შესაბამისად, ვერ დაიგეგმება სატანადო აქტივობები და ვერ განისაზღვრება შესაბამისი ქმედებები, შეფასების ინდიკატორების ჩათვლით. ზემოაღნიშნული ასევე წარმოადგენს ევროპის ტექნიკური რეგულაციის (REGULATION (EU) 2018/1999 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 11 December	გარემოსდაცვით ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საბაზისო ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.11.

	2018 on the Governance of the Energy Union and Climate Action) მოთხოვნას.	
7	საქართველოს მდინარეთა უმეტესი ნაწილი წარმოადგენს სასმელ სამეურნეო წყალმომარაგების სათაო ნაგებობებისა და წყალაღების ტერიტორიებს. შესაბამისად, პრიორიტეტი მინიჭებული აქვს ადამიანის სასმელად და მოხმარებისათვის საჭირო წყლის რესურსების სათანადო მართვასა და დაცვას. ასევე მდინარეთა ინფილტრატები წარმოადგენს მცირემასშტაბიანი წყალმომარაგების წყლის წყაროს. მნიშვნელოვანია წინსწრებით შემუშავდეს და დამტკიცდეს საქართველოს მდინარეთა დაცვის ეროვნული გეგმა, ხოლო შემდეგ დაიგეგმოს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რათა ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის ჯანმრთელობა და სოციალური მდგომარეობა შენარჩუნდეს და გაუმჯობესდეს.	აღნიშნული საკითხი გარკვეულწილად გათვალისწინებულია შერბილების ღონისძებებში. კერძოდ, როგორიცაა სექტორთაშორისი კოორდინაციის აუცილებლობა მდინარეთა აუზების დონეზე და სააუზო საბჭოების მუშაობის ხელშეწყობა თანამონაწილეობითი გადაწყვეტილიების უზრუნველსაყოფად. იხ. დანართი გ)-ს შესაბამისი ნაწილები.
8	დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაძლო ალტერნატივები.	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებულ გეგმაში შეტანილ იქნა ალტერნატიული სცენარები, რაც ასევე განხილულ იქნა სგშ-ის ანგარიშის თავში 5 და დანართში დ).
9	წარმოდგენილი არ არის კონკრეტული გეგმა დეკარბონიზაციის სტრატეგიულ მიმართულებასთან დაკავშირებით, და არც შესაძლო რისკები გარემოს ჯანმრთელობის და ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით, რომლებიც ახლავს ენერგოუზრუნველყოფის თითოეულ მიმართულებას, ვინაიდან ცნობილია რომ კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ მიმართული უმთავრესი ღონისძიება არის სექტორების დეკარბონიზაცია;	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნულ ინტეგრირებული გეგმაში დეკარბონიზაციის მიმართულების ქვეშ მოცემული ღონისძიებების გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხები განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავებში 4.1 და 4.2.
10	მკვეთრად და პირდაპირ ხაზგასმული არ არის კლიმატის ცვლილების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის საკითხები და მათ შორის კავშირი, კერძოდ, კლიმატის ცვლილების ნეგატიური ზემოქმედება ადამიანთა ჯანმრთელობაზე. ამასთანავე, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი იყოს ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სარგებელი ჰაერის დაბინძურების	სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესაძლო ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე და ბუნებრივ გარემოზე. სგშ-ის ამოცანას არ წარმოადგენდა ზოგადად კლიმატის ცვლილების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების განხილვა. გარემოსდაცვით

	შემცირებისა და ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შემცირების კუთხით.	ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საბაზისო ინფორმაცია წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავში 3.11. სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული სხვადასხვა ღონისძიების ზემოქმედების შერბილების ნაწილში სხვა ღონისძიებებს შორის შემოთავაზებულია საუკეთესო არსებული ტექნოლოგიების გამოყენება ჰაერის დაბინძურების და სათბურის აირების ემისიის შემცირებისათვის.
11	მიზანშეწონილია გეგმაში მითითებული იყოს რამდენი იქნება დეკარბონიზაციის პროცენტული მაჩვენებელი და ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და რეალიზებასთან დაკავშირებული რისკების სრული შეფასება, მათ შორის გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ნეგატიური ზემოქმედების პრევენცია.	აღნიშნული საკითხები განხილულია სგშ-ის ანგარიშის თავებში 4.1 და 4.2 და დანართში გ).
12	ასევე, მნიშვნელოვანია პოლიტიკის დოკუმენტში ენერგეტიკის სექტორისთვის განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლების და ამ მაჩვენებლების მისაღწევად ჩამოთვლილი ამოცანების შესრულება. აღნიშნული ამოცანების შესრულება მომავალში ხელს შეუწყობს კლიმატის ცვლილების ნეგატიური ეფექტების შემცირებას, ელექტროენერგიის წარმოებაში განახლებადი ენერგიის წილის ზრდასა და სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.	გათვალისწინებულია. დოკუმენტში განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები და მათ შესასრულებლად განსაზღვრული საჭირო განსახორციელებლი ღონისძიებები.
13	აღსანიშნავია განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარება კლიმატის ცვლილების შერბილების მიზნით. ამასთანავე, იგი უზრუნველყოფს სათბური აირების გაფრქვევის შემცირებას. რაც დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და დაავადებების გავრცელების შემცირებაზე. დოკუმენტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს, თუ რატომაა აუცილებელი მოსახლეობის სწორი ინფორმირება განახლებადი ენერგიის ობიექტების როლის შესახებ.	გათვალისწინებულია.

დასკვნითი ნაწილი		
14	„განახლებული საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) წარმოდგენილ ანგარიშში სათანადოდ არ არის შეფასებული ადამიანის ჯანმრთელობაზე მოქმედი ძირითადი რისკ-ფაქტორები. მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული რეკომენდავიების გათვალისწინება და სესაბამისი კვლევების დაგეგმვა და განხორციელება.	სტრატეგიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ღონისძიებების ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხები ასევე, შესაბამისი თავიდან აცილების და შერბილების ღონისძიებები წარმოდგენილია სგშ-ის ანგარიშის თავებში: 4.1.9, 4.2.9, 4.3.9 და 4.4.9 და ასევე, დანართში გ).